ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გიორგი ტურაზაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ი. ა.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.08.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: №058/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. მ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 03 აგვისტოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. მ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2017 წლის 19 სექტემბერს საჩივრის ავტორმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2016 წლის 08 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეზე N2/27669-16 განჩინებით ი. ა.-ს განესაზღვრა შვილიშვილებთან ურთიერთობის გრაფიკი. საჩივრის ავტორს სასამართლო განჩინების პირობები არ დაურღვევია. 2017 წლის 12 თებერვლის შემდეგ დიანა არჯევანიძეს მისი ყოფილი რძალი ნ. გ. ბავშვების ნახვის უფლებას არ აძლევდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. გ.ს ინტერესებს იცავდა ადვოკატი დ. მ.-ი.ნ. გ. ცხოვრობს ადვოკატ დ. მ.-ის შვილთან ზ. მ.-თან ერთად.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დ. მ.-ი ცდილობდა საჩივრის ავტორის შვილს მ. გ.-სა და თავის შვილს ზ. მ.-ს შორის წარმოშობილი კონფლიქტის დაძაბვას. ასევე ადვოკატი

ურეკავდა საჩივრის ავტორს და ლანძღავდა. დ. მ.-ის დარიგებით ზ. მ. და ნ. გ. ი. ა.-ს არ აძლევდნენ შვილიშვილების ნახვის უფლებას. 2017 წლის 13 თებერვალს საჩივრის ავტორის შვილს მ. გ.-სა და ადვოკატ დ. მ.-ის შვილს ზ. ბ.-ს შორის მოხდა დაპირისპირება და მ. გ.-მ ცივი იარაღით მიაყენა ზ. ბ.-ს ჭრილობა. ამ ინციდენტის შემდეგ ი. ა.-ს დაუკავშირდა ადვოკატი დ. მ.-ი და უთხრა, რომ შვილიშვილების ნახვის უფლებას აღარ მისცემდა.

1.4 2017 წლის 21 აპრილს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ადვოკატმა დ. მ.-მა დაურეკა ი. ა.-ს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. საჩივრის ავტორმა ადვოკატ დ. მ.-ის წინააღმდეგ განცხადებით მიმართა პოლიციის ვაკე-საბურთალოს მე-3 განყოფილებას, თუმცა 2017 წლის 22 აპრილს განცხადება უკან გამოითხოვა, რადგან ეშინოდა, რომ ადვოკატი დათვრებოდა და საჩივრის ავტორის შვილიშვილებს დასჯიდა.

1.5 2017 წლის 19 ივლისს იყო საჩივრის ავტორის შვილიშვილის ს. გ.-ს დაბადების დღე და საჩივრის ავტორმა გადაწყვიტა მისალოცად მისი მონახულება. თავის დაზღვევის მიზნით მან მიმართა ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრს საიდანაც მას წარმომადგენლად გაჰყვა გ. კ.. 2017 წლის 20 ივლისს საჩივრის ავტორი გ. კ.-ს თანხლებით წავიდა შვილიშვილების მოსანახულებლად. ბინაში პირველი გ. კ. მივიდა იმის გასარკვევად, იქნებოდა თუ არა მშობელი თანახმა, რომ ბებიას დერეფანში ენახა ბავშვები ან მათ ბებიის ნახვის გარეშე მიეღოთ საჩუქრები. შემდეგ საჩივრის ავტორი შევიდა ბინაში იმ იმედით, რომ დერეფანში მას აჩვენებდნენ შვილიშვილებს. დერეფანში მას შეხვდა ადვოკატის შვილი ზ. მ., წაართვა ტელეფონი და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას. შემდეგ საჩივრის ავტორს მივარდა ადვოკატი დ. მ.-ი და თავის შვილთან ერთად დაუწყო მას ცემა. ადვოკატი რაღაც საგანს ურტყამდა თავში საჩივრის ავტორს. საჩივრის ავტორმა გ. კ.-ს დახმარებით მოახერხა სადარბაზოში გამოსვლა. ადვოკატი და მისი შვილი აგრძელებდნენ საჩივრის ავტორის ცემას. საჩივრის ავტორს მათთვის არც სიტყვიერი და არც ფიზიკური შეურაცხყოფა არ მიუყენებია. ი. ა.-მ გამოიძახა საპატრულო ეკიპაჟი და პოლიციის მოსვლის შემდეგ მას დაუბრუნეს ტელეფონი. ადვოკატმა დიანა მარტიაშვილა სასწრაფო დახმარება გამოიძახა არა იმ მიზნით, რომ ი. ა.-ისთვის დახმარება გაეწიათ, არამედ თითქოს საჩივრის ავტორი შეურაცხადი იყო და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში უნდა გადაეყვანათ. საჩივრის ავტორი გადაიყვანეს ორთაჭალაში, სადაც ადვოკატი და მისი შვილი ისევ აგრძელებნენ ი. ა.-ის სიტყვიერ შეურაცხყოფას. პოლიციამ ალკოტესტით შეამოწმა საჩივრის ავტორის და ადვოკატის სიფხიზლე. ადვოკატი აღმოჩნდა ალკოჰოლური თრობის ქვეშ.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას მის შვილიშვილებზე და არ აძლევს მათ ბებიის ნახვის უფლებას, რითაც არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებს.

1.7 2017 წლის 3 აგვისტოს, როდესაც საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიაში მოვიდა საჩივრის შემოსატანად, ადვოკატმა მას დაუწყო ლანძღვა: ,,მაისურს შემოგახევ, ჯერ შენ მოგკლავ, მერე შენს შვილს, ორივე საგვარეულოს გ.----ის და ა.----ისას ამოგწყვეტთ, რას დაწანწალებ საცოდავო, არ გაცოცხლებ, წიწილასავით მოგახრჩობ, კბილებით შეგჭამ". ამ დროს ადვოკატი იყო ალკოჰოლური თრობის ქვეშ. საჩივრის ავტორს დაეხმარა ეთიკის კომისიის აპარატის იურისტი მ. ი., რომლის დახმარებითაც მან შეძლო შენობის დატოვება.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატ დ. მ.-ის შვილი ზ. მ. და ნ. გ. მუდმივად ცდილობდნენ საჩივრის ავტორის შვილისთვის მ. გ.-სთვის პროვოკაციის მოწყობას. მათ პირობა წაუყენეს მ. გ.-ს, რომ თუ შვილების ნახვა სურდა, მათთვის გვარი უნდა შეეცვალა. საჩივრის

ავტორმა გადაწყვიტა, რომ უმჯობესი იქნებოდა თუ მისი შვილი გერმანიაში წავიდოდა, ან პირველს მას მოეპოვებინა შვილიშვილების ნახვის უფლება და შემდეგ მ. გ.-ს.

1.9 ი. ა.-ის თქმით, 2017 წლის 09 აგვისტოს ნ. გ.-მა დაიბარა მ. გ. და უთხრა, რომ შვილების ნახვის უფლებას მისცემდა. მ. გ. ნ. გ.-ს შეხვდა ,,რიკო კრედიტის'' შენობაში, სადაც ნატალია გრიგოლაშვილთან ერთად იმყოფებოდა სამი მამაკაცი, რომლებაც დამცირება დაუწყეს მ. გ.-ს. მათ განაცხადეს, რომ ნ. გ.-ს იცავდნენ და განაგრძეს მ. გ.-ს დამცირება, რის შემდეგაც მ. გ.-მ შენობა დატოვა. შენობის გარეთ მას შეხვდა მამაკაცი, რომელმაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და როგორ აღმოჩნდა იგი იყო ზ. მ. ხოლო რაც მოხდა ადვოკატ დ. მ.-ის პროვოკაციული გეგმის ნაწილი იყო.

1.10 2017 წლის 11 აგვისტოს საჩივრის ავტორი შეხვდა ადვოკატ დ. მ.-ს რათა შვილიშვილებისთვის ნათლობის საჩუქრები გაეტანებინა, იმ დორისთვის ი. ა.-მ არ იცოდა, რომ ადვოკატი ნატალია გრიგოლაშვილთან ერთად ცხოვრობდა. ადვოკატმა ნ. გ.-ს ლანძღვა დაიწყო, რომ იგი მისი კლიენტი იყო თორემ სხვა შემთხვევაში მასთან საქმეს არ დაიჭერდა. საჩივრის ავტორი მიხვდა, რომ ადვოკატი პროვოკაციის მოწყობას და სიტუაციის დაძაბვას ცდილობდა.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 19 სექტემბერს, როდესაც საჩივრის ავტორი იმყოფებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში და ელოდებოდა სხდომის დაწყებას, მასთან მივიდა ადვოკატი დ. მ.-ი და დაუწყო ლანძღვა: ეს კუკუშკა კიდევ აქ მოვიდა, ეს შენობა საკუთარ სახლად ხომ არ მიაჩნია, ბებერი მაწანწალა".

1.12 2017 წლის 28 სექტემბერს მიმდინარეობდა სხდომა საჩივრის ავტორის შვილის მ. გ.-ს საქმეზე, რა დროსაც ადვოკატი დ. მ.-ი კარებთან იდგა და ხელის ჟესტიკულაციით შეურაცხყოფას აყენებდა საჩივრის ავტორს და მის შვილს. სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ ადვოკატი დ. მ.-ი შემოვიდა სხდომის დარბაზში და განაცხადა, რომ: ,,გ.----- არ გახვიდეთ, თქვენ მომიკალით შვილი, ლიფტში თქვენ გამო ჩავარდა. არ გაცოცხლებთ.“

1.13 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 3 ნოემბერს შვილიშვილებთან მივიდა სკოლაში, რათა მათთვის საჩუქრები გადაეცა. სკოლაში მას დახვდა უცხო პიროვნება, რომელმაც უთხრა, რომ მადლობა ეთქვა შვილიშვილები ერთხელ რომ ნახა და დაეტოვებინა სკოლის შენობა. საჩივრის ავტორი დაელოდა სანამ მისი შვილიშვილები სკოლიდან გამოვიდოდნენ რა დროსაც სკოლაში მივიდნენ ადვოკატი დ. მ.-ი და ნ. გ., რომელიც მაღალ ხმაზე ყვიროდა და ი. ა. იძულებული გახდა სკოლა დაეტოვებინა. 2017 წლის 4 ნოემბერს საჩივრის ავტორი დაიბარეს მთაწმინდის პოლიციის განყოფილებაში, სადაც მას გააცვნეს განცხადება, რომლის მიხედვითაც ი. ა.-მ ნ. გ. 2017 წლის 3 ნოემბერს დაკაწრა. საჩივრის ავტორის განმარტებით, ეს იყო ადვოკატ დ. მ.-ის და ნ. გ.ს პროვოკაციული გეგმის ნაწილი.

1.14 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისი შვილი მ. გ. დღეს რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება ადვოკატ დ. მ.-ის წინასწარ დაგეგმილი პროვოკაციის შედეგია. მ. გ.-სთვის რომ შვილების ჩვენების უფლება მიეცა ადვოკატ დ. მ.-ს და ნ. გ.-ს, ასეთი დაპირისპირებ მათ შორის არ მოხდებოდა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა დ. მ.-მა 2017 წლის 27 სექტემბერს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა თავისი პოზიცია, რომ იგი არ ეთანხმება საჩივარში აღნიშნულ გარემოებებს. ადვოკატის განმარტებით, იგი იცავდა ნ. გ.ს ინტერესებს მის ყოფილ მეუღლესთან მ. გ.-სთან დავაში. დავა ეხებოდა მ. გ.-ს მიმართ შემაკავებელი ორდერის დამტკიცებას. ამის შემდეგ ადვოკატი წარმოადგენდა ნ. გ.ს როგორც მოპასუხის ინტერესებს

სამოქალაქო საქმეზე, რომელშიც მოსარჩელე მხარე იყო ი. ა., დავის საგანი ბავშვის ნახვის დღეების განსაზღვრა. 2016 წლის 8 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეზე N2/27669-16 განჩინებით დამტკიცდა მხარეთა შორის მორიგება და ი. ა.-ს განესაზღვრა შვილიშვილებთან ურთიერთობის წესი. ადვოკატი დ. მ.-ი არ ჩარეულა მხარეთა შორის სასამართლო განჩინებით მოწესრიგებულ ურთიერთობაში და სასამართლო განჩნების აღსრულებისთვის ხელი არ შეუშლია.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მას არანაირი კონტაქტი არ აქვს ი. ა.-სთან, იგი არ დაკავშირებია საჩივრის ავტორს ტელეფონით და არ მიუყენებია მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფა. ი. ა.-სა და ნ. გ.-ს შორის წარმოიშვა პირადი ხასიათის კონფლიქტი და ნ. გ.-ს თავად არ სურდა საჩივრის ავტორისთვის ეჩვენებინა შვილები.

2.3 2017 წლის 19 ივლისს ი. ა. გამოცხადდა ნ. გ.ს ბინაში. ადვოკატი დ. მ.-ი ცხოვრობს ცალკე ნ. გ.ს ბინასთან ახლოს. ნ. გ.-მა დაურეკა ადვოკატს და შეშფოთებულმა უთხრა, რომ მის ბინასთან მოსული იყო ი. ა., რომელიც კონფლიქტის გამოწვევას ცდილობდა. ადვოკატი მივიდა ნ. გ.ს კოპუსის სადარბაზოში, სადაც მას ი. ა. დახვდა, რომელიც ყვიროდა და აგრესიულად იქცეოდა. კიბეებზე ასვლისას ი. ა.-მ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ადვოკატ დ. მ.-ს, რის გამოცა ადვოკატი იძულებული გახდა გამოეძახა საპატრულო ეკიპაჟი და სასწრაფო დახმარება.

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2017 წლის 03 აგვისტოს ადვოკატი თავის საქმეზე იმყოფებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, პირველ სართულზე, როდესაც ნახა როგორ მოვიდა ი. ა. და ავიდა მეორე, ეთიკის კომისიის სართულზე. საჩივრის ავტორი დაახლოებით 40 წუთი იმყოფებოდა ეთიკის კომისიის მისაღებში, რის გამოც ადვოკატმა მიიჩნია, რომ იგი თავისი ხანგრძლივი საუბრით და კონსულტაციის მიღებით ღლიდა ეთიკის კომისიის აპარატის იურისტებს და გადაწყვიტა ეთიკის კომისიის მისაღებში ამოსვლა. ადვოკატი მშვიდად მივიდა მისაღებში, ნახა რომ ი. ა. ესაუბრებოდა ეთიკის კომისიის იურისტს - მ. ი.ს და მოუწოდა ი. ა.-ს, ვინაიდან უკვე ჩაბარებული ჰქონდა საჩივარი, დაეტოვებინა ადვოკატთა ასოციაციის შენობა. ი. ა.-მ დატოვა ადვოკატთა ასოციაცია.

2.5 2017 წლის 19 სექტემბერს ადვოკატთა ასოციაციის შენობაში კვლავ შემთხვევით შეხვდნენ ი. ა. და ადვოკატი დ. მ.-ი. ი. ა. აგრესიულად იყო განწყობილი ადვოკატის მიმართ, მაგრამ მათ შორის კონფლიქტი არ მომხდარა, ადვოკატი მოერიდა საჩივრის ავტორთან კომუნიკაციას.

2.6 ადვოკატ დ. მ.-ის პოზიციით, ყველა იმ შემთხვევაში, რასაც საჩივრის ავტორი მათ შორის შექმნილ კონფლიქტს უკავშირებს, იგი საადვოკატო საქმიანობას არ ეწეოდა, კონფლიქტები არ მომდინარეობდა საადვოკატო საქმიანობიდან და ამ პროცესების მონაწილე დ. მ.-ი აღმოჩნდა ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე. ერთის მხრივ, დ. მ.-ის რძლის მდგომარეობის გამო, რომელსაც არ სურს მის შვილებს კომუნიკაცია ჰქონდეთ ბებიასთან, ი. ა.-სთან და მეორეს მხრივ, იმის გამო, რომ ი. ა.-ის შვილმა კვლავ ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე დაჭრა ადვოკატ დ. მ.-ის შვილი.

3. მოწმის პოზიცია:

3.1 ეთიკის კომისიის აპარატის იურისტმა მ. ი.-მ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ის, როგორც მორიგე იურისტი, არეგისტრირებდა მოქალაქის ი. ა.-ის საჩივარს ადვოკატ დ. მ.-ის წინააღმდეგ. იმ დროს, როდესაც ის მოქალაქეს უმარტავდა საჩივრის რეგისტრაციისა და ეთიკის კომისიაში წარმოების პროცედურებს, ოთახში შემოვიდა ადვოკატი დ. მ.-ი, რომელიც იყო გაბრაზებული და ი. ა.-ის მიმართ იქცეოდა აგრესიულად. იურისტის განმარტებით, მან ადვოკატს მშვიდად სთხოვა დაეტოვებინა სამუშაო ოთახი და მიეცა საშუალება

დაერეგისტირებინა საჩივარი. ადვოკატი ეთიკის კომისიის ოთახიდან არ გადიოდა, ის ხმამაღალი და აგრესიური ინტონაციით საჩივრის ავტორის მისამართით ამბობდა შემდეგ ფრაზებს: არ გაცოცხლებ შე საცოდავო, რას დაეთრევი ყველგან, წიწილასავით დაგახრჩობ. ამ დროს ადვოკატი თავზე ადგა სკამზე დამჯდარ ი. ა.-ს, რომელიც არ პასუხოდა ადვოკატს და თავისი ქცევით არ იწვევდა ადვოკატის პროვოცირებას.

3.2 იურისტის განმარტებით, სიტუაცია ისე დაიძაბა, რომ მას მოუწია ჩამდგარიყო ადვოკატ დ. მ.-სა და ი. ა.-ს შორის და ისე მოეწოდებინა ადვოკატისათვის დაეტოვებინა ეთიკის კომისიის ოთახი. ამის შემდეგ ადვოკატი ოთახიდან გავიდა და დაახლოებით 5 წუთში, ის შემოვარდა კომისიის ოთახში იმაზე მეტად განრისხებული, ვიდრე იყო მანამდე და საჩივრის ავტორის მისამართით იმეორებდა იგივე ფრაზებს, რასაც ამბობდა ოთახში პირველად შემოსვლის დროს. იურისტის მოწოდების შედეგად, ადვოკატმა ამჯერად ოთახი მალევე დატოვა.

3.3 იურისტის განმარტებით, რადგან ის იყო იმაზე კონცენტირირებული, რომ სიტუაცია მშვიდად მოგვარებულიყო, გარდა ზემოთ აღნიშნული ფრაზებისა, არ ახსოვს ყველა ის ფრაზა, რასაც ადვოკატი ამბობდა ი. ა.-ის მისამართით, თუმცა ფრაზების პათოსი მის მიერ აღქმული იქნა, როგორც ი. ა.-ის დამცირება, შეშინება და შეურაცხყოფა.

II სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი დ. მ.-ი არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

4.2 ნელი ჯაშიაშვილმა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 03 აგვისტოს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წლის 02 აგვისტოს. ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი დ. მ.-ის დარიგებით ზ. მ. და ნ. გ. ი. ა.-ს არ აძლევდნენ შვილიშვილების ნახვის უფლებას; 2017 წლის 21 აპრილს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ადვოკატმა დ. მ.-მა დაურეკა ი. ა.-ს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა; 2017 წლის 20 ივლისს შვილიშვილის სანახავად მისულ ი. ა.-ს მივარდა ადვოკატი დ. მ.-ი და თავის შვილთან ზ. მ.-თან ერთად დაუწყო მას ცემა; ადვოკატი ახდენს

ფსიქოლოგიურ ზეწოლას ი. ა.-ის შვილიშვილებზე და არ აძლევს მათ ბებიის ნახვის უფლებას; 2017 წლის 3 აგვისტოს, ეთიკის კომისიაში საჩივრის წარმოსადგენად მისულ ი. ა.-ს ეთიკის კომისიაში მას დახვდა ადვოკატი დ. მ.-ი და დაემუქრა: ,,მაისურს შემოგახევ, ჯერ შენ მოგკლავ, მერე შენს შვილს, ორივე საგვარეულოს გ.----ის და ა.----ისას ამოგწყვეტთ, რას დაწანწალებ საცოდავო, არ გაცოცხლებ, წიწილასავით მოგახრჩობ, კბილებით შეგჭამ"; 2017 წლის 19 სექტემბერს, როდესაც საჩივრის ავტორი იმყოფებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში და ელოდებოდა სხდომის დაწყებას, მასთან მივიდა ადვოკატი დ. მ.-ი და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: ეს კუკუშკა კიდევ აქ მოვიდა, ეს შენობა საკუთარ სახლად ხომ არ მიაჩნია, ბებერი მაწანწალა"; 2017 წლის 28 სექტემბერს მიმდინარეობდა სხდომა საჩივრის ავტორის შვილის მ. გ.-ს საქმეზე, რა დროსაც ადვოკატი დ. მ.-ი კარებთან იდგა და ხელის ჟესტიკულაციით შეურაცხყოფას აყენებდა საჩივრის ავტორს და მის შვილს. სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ ადვოკატი დ. მ.-ი შემოვიდა სხდომის დარბაზში და განაცხადა, რომ: ,,გ.----- არ გახვიდეთ, თქვენ მომიკალით შვილი, ლიფტში თქვენ გამო ჩავარდა. არ გაცოცხლებთ.“

6.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ“ პუნქტი: ,,ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.“

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე–5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი: ,,ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.

6.3 საჩივრის ავტორის პრეტენზიებიდან დგინდება, რომ ი. ა.-ისა და ადვოკატ დ. მ.-ის შვილის ზ. მ.-ის ოჯახების დაძაბული ურთიერთობის ფონზე საჩივრის ავტორს წარმოექმნა პრეტენზიები ადვოკატის მიმართ. რადგან ეთიკის კომისიას გააჩნია თავისი კომპეტენცია, კომისიის გამოკვლევის საგანს საჩივრის ავტორის თითოეულ პრეტენზიასთან მიმართებაში წარმოადგენს რამდენად იმყოფებოდა დ. მ.-ი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში, ვინაიდან პროფესიული ეთიკის კოდექსი ადვოკატზე ვრცელდება იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ახორციელებს პროფესიულ საქმიანობას ან მოქმედებს როგორც ადვოკატი ანუ იმყოფება მისი კლიენტის უფლებების დაცვის/რეალიზაციის განხორციელების პროცესში, შესაბამის უწყებრივ ან კერძო სუბიექტებთან, სასამართლოში, ადმინისტრაციულ ორგანოებში, სამართალდამცავ და სხვა სახელმწიფო უწყებებში, ასევე კერძო პირებთან, სადაც ხორციელდება კლიენტთან შემხებლობაში არსებული წარმოება ან პროცედურები. ასეთ დროს დღეს მოქმედი აპეკ-ის (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის) ფარგლებში სავარაუდო დარღვევის შეფასებისათვის განმსაზღვრელია არა მარტო ის, რომ პირი პროფესიით ადვოკატი იყო, არამედ სავარაუდო დარღვევის დროს მოქმედებდა თუ არა იგი ადვოკატის სახით.

6.4 საჩივრის ავტორის პრეტენზიებთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი დ. მ.-ი ცდილობდა საჩივრის ავტორის შვილს მ. გ.-სა და თავის შვილს ზ. მ.-ს შორის წარმოშობილი კონფლიქტის დაძაბვას; ადვოკატის დარიგებით ზ. მ. და ნ. გ. ი. ა.-ს არ აძლევდნენ შვილიშვილების ნახვის უფლებას; 2017 წლის 21 აპრილს ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ადვოკატმა დ. მ.-მა დაურეკა ი.

ა.-ს და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა; ადვოკატი ახდენს ფსიქოლოგიურ ზეწოლას ი. ა.-ის შვილიშვილებზე და არ აძლევს მათ ბებიის ნახვის უფლებას; 2017 წლის 20 ივლისს შვილიშვილის სანახავად მისულ ი. ა.-ს შეხვდა ადვოკატის შვილი ზ. მ., წაართვა ტელეფონი და ადვოკატ დიანა მარტიაშვილთან ერთად სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას; შემდეგ საჩივრის ავტორს მივარდა ადვოკატი დ. მ.-ი და თავის შვილთან ერთად დაუწყო მას ცემა, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული პრეტენზიები მიმართულია დ. მ.-ის მიმართ, რომელიც პროფესიით არის ადვოკატი თუმცა ასევე იმ ოჯახის წევრია, რომელთანაც დაძაბული ურთიერთობა აქვს ი. ა.-ის ოჯახს. დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მასალების მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 08 დეკემბრის განჩინებით საქმეზე N2/27669-16. მოსარჩელე - ი. ა., მოსარჩელის წარმომადგენელი - აბელ გეგია; მოპასუხე - ნ. გ., მოპასუხის წარმომადგენელი - დ. მ.-ი, დამტკიცდა მორიგება ი. ა.-სა და ნ. გ.-ს შორის. ი. ა.-ს განესაზღვრა შვილიშვილების მონახულების გრაფიკი. აღნიშნული სამართლებრივი ურთიერთობის გარდა, რომელიც 2016 წლის 08 დეკემბერს დასრულდა, დისციპლინურ საქმეში არ არის წარმოდგენილი რაიმე სხვა სახის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა დ. მ.-ის, როგორც ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას საჩივრის ავტორის მიმართ რაიმე მოქმედების შესრულება. გამოკვლევამ აჩვენა, რომ უფრო მეტად დგინდება მომჩივანსა და ადვოკატს შორის პირადი ოჯახური კონფლიქტური ურთიერთობა, ვიდრე ადვოკატის საადვოკატო საქმიანობის ესა თუ ის მომენტი. საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული პრეტენზიები პირადი ხასიათისაა და წარმოიშვა ოჯახებს შორის დაძაბული ურთიერთობის ნიადაგზე. აღნიშნული პრეტენზიები არ უკავშირდება დ. მ.-ის მიერ როგორც ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობის განხორციელებას. მხოლოდ ადვოკატის სტატუსი ყოველთვის არ არის საკმარისი ქცევა მოექცეს აპეკ-ის შესაძლო დარღვევის ფარგლებში, გარდა კოლეგის უპატივცემულობისა (ადვოკატთა ურთიერთპატივისცემის გამოხატვა). აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოკლებულა შესაძლებლობას შეაფასოს დ. მ.-ის ქმედებები პროფესიული ეთიკის ნორმებთან მიმართებით.

6.5 საჩივრის ავტორმა ასევე განაცხადა, რომ 2017 წლის 20 ივლისს შვილიშვილის სანახავად მისულ ი. ა.-ს შეხვდა ადვოკატის შვილი ზ. მ., წაართვა ტელეფონი და ადვოკატ დიანა მარტიაშვილთან ერთად სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. საჩივრის ავტორმა წარმოადგინა ,,112"-ის 2017 წლის 11 ოქტომბრის ცნობა მასზედ, რომ 2017 წლის 20 ივლისს 17:49 საათზე ფიზიკურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებით საპატრულო პოლიციის გამოძახების მოთხოვნით ი. ა.-ის მიერ განხორციელდა სატელეფონო შეტყობინება. ასევე ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N, რომლის მიხედვითაც ი. ა.-მ 2017 წლის 21 ივლისს მოითხოვა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება. 2017 წლის 11 აგვისტოს ექსპერტის დასკვნით ი. ა.-ს დაუდგინდა სხეულებრივი დაზიანებები. პაციენტის სამედივინო ბარათი N35/44 და 2017 წლის 25 აგვისტოტს მამოგრაფია. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. ,,112"-ის 2017 წლის 11 ოქტომბრის ცნობით დასტურდება, რომ ი. ა.-მ საპატრულო ეკიჯაჟი გამოიძახა მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენების ფაქტის გამო, თუმცა აღნიშნული ცნობით არ დასტურდება, რომ ი. ა.-ს ადვოკატმა დ. მ.-მა მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ ექსპერტიზის დასკვნაში, პაციენტის ბარათსა და მამოგრაფიაში მითითებულია, რომ ი. ა.-ს ჰქონდა სხეულებრივი დაზიანებები, თუმცა აღნიშნული მტკიცებულებები არ შეიცავს ინფორმაციას აღნიშნული დაზიანებების გამოწვევის მიზეზების შესახებ. საპროცესო კოლეგია

ასევე ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ 2017 წლის 20 ივლისს საჩივრის ავტორი მივიდა შვილიშვილთან დაბადების დღის მისალოცად. ის გარემოება, რომ შვილიშვილთან მისულ საჩივრის ავტორს შეხვდა ადვოკატი დ. მ.-ი არ იყო განპირობებული დ. მ.-ის მიერ როგორ ადვოკატის მიერ პროფესიულის საქმიანობის განხორციელებასთან, არამედ მომდინარეობდა საოჯახო ურთიერთობიდან. აქედან გამომდინარე, ეთიკის კომისიის კომპეტენციას სცილდება ადვოკატის მიმართ საჩივრის ავტორის პრეტენზიის ეთიკის ნორმებთან მიმართებაში შეფასება

6.6 საჩივრის შემდეგ პრეტენზიებთან მიმართებაში, რომ 2017 წლის 3 აგვისტოს, საჩივრის ავტორი ეთიკის კომისიაში მოვიდა საჩივრის შემოსატანად, ეთიკის კომისიაში მას დახვდა ადვოკატი დ. მ.-ი და დაემუქრა: ,,მაისურს შემოგახევ, ჯერ შენ მოგკლავ, მერე შენს შვილს, ორივე საგვარეულოს გ.----ის და ა.----ისას ამოგწყვეტთ, რას დაწანწალებ საცოდავო, არ გაცოცხლებ, წიწილასავით მოგახრჩობ, კბილებით შეგჭამ". ამ დროს ადვოკატი იყო ალკოჰოლური თრობის ქვეშ; 2017 წლის 19 სექტემბერს, როდესაც საჩივრის ავტორი იმყოფებოდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში და ელოდებოდა სხდომის დაწყებას, მასთან მივიდა ადვოკატი დ. მ.-ი და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა: ეს კუკუშკა კიდევ აქ მოვიდა, ეს შენობა საკუთარ სახლად ხომ არ მიაჩნია, ბებერი მაწანწალა", საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კომისია არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში არსებული, კვაზისასამართლო დისციპლინური დევნის დამოუკიდებელი ორგანო. ადვოკატს როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე სხდომაზე მონაწილეობისასაც. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული ფაქტი, რომ 2017 წლის 3 აგვისტოს, ეთიკის კომისიაში ადვოკატმა დ. მ.-მა მას შემდეგი ფრაზებით მიმართა: ,,მაისურს შემოგახევ, რას დაწანწალებ საცოდავო, წიწილასავით მოგახრჩობ“, დაადასტურა ეთიკის კომისიის აპარატის იურისტმა მ. ი.-მ, რომელიც ესწრებოდა საჩივრის ავტორის და ადვოკატის შეხვედრას ეთიკის კომისიის შენობაში. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი და საჩივრის ავტორი ერთმანეთს შეხვდნენ ეთიკის კომისიის აპარატის ოთახში, როდესაც საჩივრის ავტორს სურდა საჩივრის რეგისტრაცია და არა საპროცესკო კოლეგიის სხდომაზე. ეთიკის კომისიის აპარატი მდებარეობს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შენობაში. ადვოკატთა ასოციაციის შენობაში არ მოქმედებს განსაზღვრული სახით ქცევის წესები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ან რომელთა დარღვევაც სანქციის გამომწვევი შეიძლება გახდეს. მომჩივანსა და ადვოკატს შორის წარმოშობილი აზრის გამოხატვის საწინააღმდეგო ან უხამსი შესაძლო ურთერთდამოკიდებულება განხორციელდა არა დისციპლინური წარმოებისას, არამედ დოკუმენტთა რეგისტრაციის ადგილას და პროცესში, რაც მოქმედი აპეკ-ის განხილვის საგანს არ წარმოადგენს, რადგან არ არის სასამართლოს ან კვაზისასამართლოს ან მსგავსი პროცედურების განხორციელების მომენტი, სადაც შეიძლებოდა საპროცესო კოლეგიას ემსჯელა ადვოკატის პროფესიული საქმიანობის განხორციელების შესახებ ან თავად სასამართლოში ან მის მსგავს უწყებაში უშუალოდ მიმდინარე სამართალწარმოებისას არსებული ქცევის წესების დარღვევაზე. აქედან გამომდინარე, ქმედების კვალიფიკაციის არარსებობის გამო საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატ დ. მ.-ის მიერ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის შენობაში განხორციელებული ქცევა.

6.7 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ 2017 წლის 28 სექტემბერს მიმდინარეობდა სხდომა საჩივრის ავტორის შვილის მ. გ.-ს საქმეზე, რა დროსაც ადვოკატი დ. მ.-ი კარებთან იდგა და ხელის ჟესტიკულაციით შეურაცხყოფას აყენებდა საჩივრის ავტორს და

მის შვილს. სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ ადვოკატი დ. მ.-ი შემოვიდა სხდომის დარბაზში და განაცხადა, რომ: ,,გ.----- არ გახვიდეთ, თქვენ მომიკალით შვილი, ლიფტში თქვენ გამო ჩავარდა. არ გაცოცხლებთ.", საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაშიც არ დგინდება დ. მ.-ის, როგორც ადვოკატის მიერ პროფესიულის აქმიანობის განხორციელების ფაქტის კავშირი საჩივრის ავტორის მიერ დასახელებულ გარემოებასთან. საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ ადვოკატი დ. მ.-ი სასამართლო სხდომას არ ესწრებოდა და იგი კართან იდგა. საპროცესო კოლეგიისთვის ასევე ცნობილია, რომ საჩივრის ავტორის შვილმა მ. გ.-მ ცივი იარაღით ჭრილობა მიაყენა ადვოკატ დ. მ.-ის შვილს ზ. ბ.-ს, რის შედეგადაც მ. გ.-ს დაეკისრა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ დ. მ.-ის, როგორც დაზარალებული პირის დედის და არა როგორც ადვოკატის ქმედების შეფასება არ შედის მის კომპეტენციაში.

6.8 საპროცესო კოლეგია მოცემულ გადაწყვეტილებაში საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნოს ადვოკატის უარყოფითი და შეიძლება ითქვას არაპროფესიონალური და უპატივცემულო დამოკიდებულება თავად ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის აპარატისადმი, რაც გამოიხატება პროფესიული კორპორატიული არსის გაცნობიერების ნაკლებობაში. ადვოკატი უნდა აცნობიერებდეს, რომ ამჟამად არარსებული რეგულიაცია არ აძლევს მას უფლებას მისი პირადი (რაც არ უნდა იყოს მძიმე და დაკავშირებული მოწინააღმდეგე მხარესთან) ურთიერთობის ფონზე გამოავლინოს უპატივცემულობა ეთიკის კომისიის სამუშაო ოთახში, მიუხედავად იმისა რომ მისი აზრის გამოხატვა არ იყო მიმართული არც ერთი იურისტის მისამართით. ის რომ ეთიკის კოდექსი კლასიკურად ვერ ვრცელდება მოცემულ შემთხვევაზე (6.6 პუნქტი) არ ნიშნავს იმას, რომ ეთიკის კომისიის საქმიანობას რომელიმე ეტაპზე ხელი შეეშლება ან მომჩივანს შეექმნება გარკვეული დაბრკოლება მიმართოს კომისიას საჩივრით ან განცხადებით.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით, 32–ე და 33–ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე–4 მუხლის მე–6 პუნქტით, მე–19 მუხლით, 27–ე მუხლით, 28–ე მუხლით, 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №058/17 ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ /სიითი N/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გიორგი ტურაზაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა სეხნიაშვილი/